# საქართველოს კანონი

## საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

**მუხლი 1.** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (პარლამენტის უწყებანი, №31, 24 ივლისი, 1997, გვ. 1) 1127-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 ნაწილი:
„5. განქორწინების შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე განსახორციელებელ განქორწინების რეგისტრაციაზე არ ვრცელდება ამ კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პრეზიდენტი** **გიორგი მარგველაშვილი**

**ქუთაისი,**

**27 ივნისი 2018 წ.**

**N2635-IIს**